დღეს ნომერში:

მე-2 გვ.
მეტალურგთა ქალაქში
სხვაგვარ სპორტული
საქმიანობა

მე-3 გვ.
მოჭადრაკეთა
დიდი ფორუმი
იუგოსლავიაში

მე-3 გვ.
3. მაზანოვის
საკავშირო
რეკორდი...
ამანათცურვაში

მე-4 გვ.
4 ივლისს:
სსრ კავშირი —
ბრაზილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 54 (2774) ● ხუთშაბათი, 18 მარტი, 1965 წ. ● ფასი 2 კაპ.

„...ერთი თავით მაღლა...“

„სამართალმა პური ჭამა...“

„მეფობა“ კვლავაც გაგრძელდება

საბჭოთა ჰოკეისტების ბრწყინვალე გამარჯვებამ ფინეთის ქალაქ ტამპერეში, უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიო პრესაში. სხვადასხვა ქვეყნის გაზეთები ერთსულოვნად აღნიშნავენ სსრ კავშირის ჰოკეისტთა შესანიშნავ ოსტატობასა და გამარჯვებისაკენ დაუცხრომელ ლტოლვას, მათს ურყევ კოლექტიურობასა და მოქნილ ტაქტიკას.

„საბჭოთა ნაკრები ერთი თავით მაღლა დგას თავის ყველა მეტოქეზე“, — კანადის ჰოკეისტების ხელმძღვანელის ბაუერის ეს სიტყვები ბევრმა ფინურმა გაზეთმა ჩემპიონატისადმი მიძღვნილ წერილებში მოიხსენია.

„სსრ კავშირი უკვე მესამე წელია ზედიზედ ინარჩუნებს პირველობას და ეჭვი არ არის, რომ მისი „მეფობა“ კვლავაც გაგრძელდება“. — წერს გაზეთი „პაიაივიან სანომატ“.

„საბჭოთა გუნდი ბრწყინვალე კოლექტივია“, — ასკვნის ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრების კაპიტანი ტიკალი გაზეთ „რუდე პრავოში“. ეს გაზეთი აღფრთოვანებით წერს: „მაშ ასე, — საბჭოთა კავშირის ჰოკეისტები მეხუთედ გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები. ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის გუნდების შეხვედრა უდავოდ გადამწყვეტი იყო. მან სწრაფ ტემპში ჩაიარა და სიმკაცრითა და საბრძოლო განწყობით გამოირჩეოდა. გაიმარჯვა უფრო ქმედითმა საბჭოთა ტაქტიკამ დაცვაში, საბჭოთა მოთამაშეების უფრო მეტმა შეუპოვრობამ“.

შვეციის გუნდის ხელმძღვანელმა ბერგსტრიომმა გაზეთ „სტოკჰოლმსტიდნინგენის“ კორესპონდენტს განუცხადა: „სამართალმა პური ჭამა: საბჭოთა კავშირმა და ჩეხოსლოვაკიამ დაიკავეს პირველი ორი ადგილი...“

გფრ-ის გაზეთი „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“ წერს: „რუსები მეხუთედ დამსახურებულად გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები. სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ჰოკეისტები გვევლინებიან მოთამაშეებად, რომლებიც სავსებით ფლობენ თანამედროვე ჰოკეის ოსტატობის მთელს არსენალს“.

• • •

სურათზე: სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდის კაპიტანი ბორის მაიოროვი მსოფლიოსა და ევროპის ვერცხლის თასებით ხელში.

ტელეფოტო აპ-საკდესისა.

წყალზე, წყალქვეშ და ჰაერში

ა. ტუტაკაევს — „კრასნაია ზვეზდას“ პრიზი

ლენინგრადი, 16 მარტი. არმიელთა 50-მეტრიან საცურაო აუზში დამთავრდა საინტერესო შეჯიბრება გაზეთ „კრასნაია ზვეზდას“ პრიზზე, რომელშიც არმიის 5 სახეობის 180 ოსტატი და პირველთანრიგოსანი მონაწილეობდა. სამხედრო ენით რომ ვთქვათ, ბრძოლა წარმოებდა „წყალზე, წყალს ქვეშ და ჰაერში“ — სპორტსმენები პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს ცურვაში, წყალქვეშა სპორტში და წყალში ხტომაში.

სანახაობრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო იყო ამანათცურვა 10×50 მეტრზე, სადაც სპორტსმენები, გიმნასტურსა და გალიფეში გამოწყობილნი, ზურგზე მოკიდებული ავტომატით იღებდნენ სტარტს.

მესტარტის ნიშანზე შეჯიბრების მონაწილენი წყალში გადაეშვნენ. მეზღვაურებმა თავი „მშობლიურ სტიქიაში“ იგრძნეს და ხელთ იგდეს ლიდერობა. პირველი ეტაპი მოიგო სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა, ლეიტენანტმა ვ. სოროკინმა. მაგრამ შემდგომში, სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოცურავეებმა დათმეს პოზიციები: მათ გადაუსწრეს სახმელეთო და საჰაერო ძალების წარმომადგენლებმა. საბოლოო ჯამში გამარჯვება დარჩათ მფრინავებს — 5.43,0.

XVIII ოლიმპიადის ჩემპიონმა, სევასტოპოლელმა მოსწავლემ გ. პროზუმენშჩიკოვამ ოლიმპიური თამაშების შემდეგ პირველად ამ შეჯიბრებაში აიღო სტარტი. მისი შედეგი 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში 2.51,7 იყო.

ვაჟთა შორის ცურვის ამ სახეობაში უძლიერესი გამოდგა თბილისელი ა. ტუტაკაევი — 2.39,2.

[illegible]

თავისუფალი სტილის მოცურავეთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენეს ლენინგრადელმა მოსწავლემ, 17 წლის ტ. ზაროდინამ და სპორტის საპატიო ოსტატმა ვ. სემჩენკოვმა. 100-მეტრიან დისტანციაზე მათ შესაბამისად აჩვენეს 1.06,4 და 57,5. „წყალქვეშელთა“ შეჯიბრება მოიგეს რიგელმა სპორტსმენმა ქალმა ტ. იანესმა (სამხედრო-საზღვაო ფლოტი) და კიეველმა გ. უსპენსკიმ (სამხედრო-საჰაერო ძალები).

კოშკიდან მხტომელთა ასპარეზობის პროცესში „დაიბადა“ სპორტის ახალი ოსტატი. ეს საპატიო წოდება მოიპოვა 17 წლის ლენინგრადელმა გოგონამ ო. ვასილიევამ, რომელმაც 101,65 ქულა მოაგროვა და ყველას აჯობა. ვაჟთა შორის ხტომის ამ სახეობაში უძლიერესი იყო მოსკოველი ვ. პალაგინი — 157,39 ქულა.

ტრამპლინიდან ხტომაში გაზეთ „კრასნაია ზვეზდას“ პრიზი გადაეცათ ე. ანოხინას (137,91 ქულა) და ი. ზელენინს (154,09 ქულა).

გუნდურ ჩათვლაში ტრადიციული ბრძოლის თასი პირველად მოიპოვეს სამხედრო-საჰაერო ძალთა სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა სახმელეთო, ხოლო მესამეზე — სარაკეტო ძალების კოლექტივი. IV-V ადგილები გაიყვეს სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და საჰაერო თავდაცვის ჯარების წარმომადგენლებმა.

გ. პროზუმენშჩიკოვა

ა. ტუტაკაევი

უკანასკნელი საათი...

◆ **მოსკოვი.** 17 მარტი. ძალოსანთა საერთაშორისო ტურნირზე — „მოსკოვის პრიზი“ საბჭოთა არმიის წარმომადგენელმა ე. კაცურამ მსუბუქი წონის ძალოსანთა შორის აჰიმა 143 კგ და დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. მან 2 კგ-ით გააუმჯობესა მის მიერ, 2 დღის წინათ დამყარებული რეკორდი.

ამ წონაშივე თავი ისახელა მისმა თანაგუნდელმა ს. ლოპატინმა, რომელმაც აკვრაში 133 კგ დასძლია და 0,5 კგ-ით გააუმჯობესა პოლონელი ვ. ბაჟანოვსკის ოფიციალური მსოფლიო რეკორდი.

◆ **მოსკოვი,** 17 მარტი. აქ დამთავრდა სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს II პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი 1964 წლის ოლიმპიური თამაშების შედეგებთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ საბჭოთა სპორტსმენების სპორტული ოსტატობის შემდგომ ამაღლებაში. მოხსენებით გამოვიდა სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. მაშინი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ს. მელენტიევმა (რსფსრ), ვ. სოკოლმა (უკრაინის სსრ), გ. სიხარულიძემ (საქართველოს სსრ), საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. კამშალოვმა, პროფესორმა ვ. ფარფელმა და სხვ.

ფიზკულტურის კოლექტივები

სურათზე: ფრენბურთელები მორიგ ვარჯიშზე.

ფოტო ავტორისა.

ნინიგორელ მოსწავლეებთან...

იყო დრო, როცა ნინიგორის საშუალო სკოლის მოსწავლეთა ფიზკულტურული საქმიანობა საგრძნობლად მოიკოჭლებდა. მაგრამ ეს წარსულს ჩაბარდა მას შემდეგ, რაც სკოლას სათავეში ჩაუდგა ფიზკულტურისა და სპორტის დიდი გულშემატკივარი გ. წიქარიშვილი. და ეს არცაა გასაკვირი, — იგი ხომ წლების განმავლობაში თბილისის სპორტსკოლის დირექტორად მუშაობდა!

სახე იცვალა სკოლის ეზომ. უზარმაზარ ტერიტორიაზე ახლა კალათბურთის, ხელბურთის, ფრენბურთისა და სხვა მოედნებია მოწყობილი. ასობით მოსწავლეა გაერთიანებული კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, ტანვარჯიშისა და მძლეოსნობის სექციებში.

გასული წელი მარაქიანი იყო ნინიგორელი მოსწავლე-სპორტსმენებისთვის. ხელბურთელმა გოგონებმა რაიონში პირველობა არავის დაუთმეს, მოჭადრაკეები კი მეორე ადგილზე გამოვიდნენ. სკოლის ფეხბურთელთა გუნდმა შარშან პირველად მიიღო მონაწილეობა რაიონში კოლმეურნეობათა კოლექტივებს შორის გამართულ ჩემპიონატში და მესამე ადგილი მოიპოვა.

მაგრამ ყველაზე დიდი სიხარული სკოლას მაინც ფრენბურთელმა გოგონებმა მოუტანეს. ჯერ იყო და მათ რაიონში ზედიზედ მესამედ მოიპოვეს პირველი ადგილი, ხოლო, შემდეგ, რესპუბლიკის პირველობაშიც არ შეირცხვინეს თავი და გამარჯვებულებმა დატოვეს მოედანი. სკოლაში ამ წარმატებით გამოწვეული სიხარული არც კი დამცხრალა, რომ მოვიდა ცნობა: გოგონათა გუნდი არტეკში იგზავნება დასასვენებლად და იქვე მიიღებს მონაწილეობას არტეკის ტრადიციულ სპორტულ თამაშებშიო. სკოლამ ზეიმით გააცილა ფრენბურთელი გოგონები დ. კაპანაძე, თ. გაგიევი, ქ. კაპანაძე, ნ. პაპაშვილი, ნ. შუბითიძე და ა. კაპანაძე. მოსწავლეებს ალბათ არასოდეს დაავიწყდებათ არტეკში გატარებული დღეები. იქ მათ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ბავშვები გაიცნეს და დაუმეგობრდნენ კიდეც.

ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა არტეკის სპორტულ ბაზებზე. განსაკუთრებით ბევრი მაყურებელი ჰყავდათ ფრენბურთელებს. ნინიგორელებს დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდათ, მათ ბევრი ძლიერი კოლექტივი დაამარცხეს და რა დასამალია, თვითონაც იგემეს დამარცხების სუსხი. საბოლოო შედეგი კი დასაწყისისთვის არც ისე ცუდი იყო.

...მზიანი გაზაფხულის ამინდი იდგა. ნინიგორის საშუალო სკოლის ეზოდან მოსწავლეთა ჟრიამული მოისმოდა. ცხარე ბრძოლები გაეჩაღებინათ მოსწავლეებს კალათბურთის, ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნებზე.

ზ. ხორავა.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ლაგოდეხის რაიონი.

• • •

ამხანაგური შეხვედრა

სოფელ ნინიგორის საშუალო სკოლის სპორტულ მოედნებზე გაიმართა ამხანაგური შეჯიბრებები ფრენბურთსა და კალათბურთში. ადგილობრივი მოსწავლეები შეხვდნენ სოფელ ბაისუბნის სკოლის ფიზკულტურელებს.

როგორც კალათბურთში, ისე ფრენბურთში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ.

ბ. კობაძე.

ძალოსნობა

„მოსკოვის პრიზზე"

მოსკოვი, 17 მარტი (ტელეფონით). 16 ქვეყნის 60-მდე ძალოსანი ჩაება გუშინ „მოსკოვის პრიზის" მოპოვებისათვის ბრძოლაში. შეჯიბრება გახსნეს მჩატე წონის ათლეტებმა. პირველობის ძირითადი პრეტენდენტები, ერთი პროფესიის სპორტსმენები — მეშახტეები ი. ფიოლდი (უნგრეთი) და ლ. ანდრიანოვი (სსრ კავშირი) იყვნენ. უნგრელი შესანიშნავად იყო მომზადებული და საკმაოდ მაღალი შედეგით — 350 კგ (115+100+135) პირველად გახდა „მოსკოვის პრიზის" მფლობელი. საბჭოთა ძალოსანი ღირსეული მეტოქე გამოდგა, მაგრამ უნგრელის გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და ლ. ანდრიანოვი II ადგილით დაკმაყოფილდა — 335 კგ (110+110+125). მესამე ადგილზე გამოვიდა პოლონელი ვ. შოლტისეკი — 300 კგ.

პოლონელ რ. კოზლოვსკის არ გაუჭირდა გამარჯვება ქვემსუბუქ წონაში მას შემდეგ, რაც ასპარეზობის ფავორიტმა, ფრუნზელმა ვ. ლიმ აჭიმვაში 0 მიიღო. გამარჯვებულის შედეგია 360 კგ. 2,5 კგ წააგო მასთან რუსთაველმა ა. გლუხიხმა. მესამე ადგილზე დარჩა უნგრელი ი. ბენედეკი — 330 კგ.

რაიონებში [illegible]

◆ ქუთაისი

გაიმართა ქალაქის ტექნიკუმების კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საზამთრო პირველობა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ხაზით. I ადგილი მოიპოვა სამთო ტექნიკუმის გუნდმა (საზოგადოებრივი მწვრთნელი ა. კუხიანიძე). II ადგილზე გამოვიდა ავტოტექნიკუმის სპორტსმენთა კოლექტივი (მწვრთნელი თ. მამაგეიშვილი), ხოლო მესამეზე — სატყეო ტექნიკუმის ნაკრები (მწვრთნელი მუკბანიანი).

ა. ჩარკვიანი.

◆ ცაგერი

გრძელდება ქალთა IV სარაიონო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია ასპარეზობანი მძლეოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში, სროლასა და სათხილამურო სპორტში. ტურნირები უკვე დამთავრდა ჭადრაკსა და სროლაში. 10 გუნდის 30 სპორტსმენი იბრძოდა მოჭადრაკეთა ტურნირში. აქ ყველა შეხვედრა წაუგებლად ჩაატარა ტვიშის მოსწავლეთა კოლექტივმა და I ადგილიც მოიპოვა, ტყვიით სროლაში გაიმარჯვეს ჩხუტელის საშუალო სკოლის სპორტსმენებმა. სპარტაკიადა გრძელდება.

ვ. ხვადაგიანი,
ცაგერის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

რუსთავის სპორტული ცხოვრება

● შიდასაკოლექტივო

ქიმიურ კომბინატში დაიწყო საქართველოს პროფკავშირების IV სპარტაკიადისადმი მიძღვნილი შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა.

უკვე დამთავრდა შეჯიბრებანი მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში. მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირში მონაწილეობდა 20 კოლექტივი. ფინალში გავიდნენ ელექტრო და სარემონტო-მექანიკური საამქროები. გამარჯვება ელექტროსაამქროელებს ხვდათ წილად.

ჭადრაკში ასპარეზობდა 18 გუნდი. აქ უძლიერესი აღმოჩნდა № 5 საამქრო, რომელმაც ფინალში სძლია სარემონტო-მექანიკური საამქროს კოლექტივს.

● მასპინძელთა უპირატესობით

ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად რუსთავს ეწვივნენ კიროვაბადის ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდები. რუსთაველმა ქალებმა იოლად დაამარცხეს სტუმრები — 2:0 (15:5, 15:4). ვაჟთა შორის კიროვაბადელებმა მხოლოდ მესამე პარტიის მოგება შეძლეს. საერთო ანგარიშით — 3:1 გაიმარჯვეს რუსთაველებმა (15:10, 15:9, 10:15, 15:11).

● მეტალურგები — პირველნი

ჩატარდა სპორტის ტექნიკურ სახეობათა III საკავშირო სპარტაკიადისადმი მიძღვნილი საქალაქო შეჯიბრება ტყვიით სროლაში. ცეცხლის ხაზზე გამოვიდა წარმოება-დაწესებულებათა 13 გუნდი.

საერთო პირველობა მოიპოვეს მეტალურგიული ქარხნის სპორტსმენებმა. მომდევნო ადგილებზე არიან ქიმიური კომბინატისა და ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საპროექტო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივები.

რ. გაბრიჭიძე.
(ჩვენი კორ.).

ინიციატივას მხარს უჭერენ

ორსანტიისა და რუხის სხულუხიას სახელობის კოლმეურნე ახალგაზრდების ინიციატივით შარშან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა სპორტული ბაზები. აქ მოეწყო კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. ახალგაზრდებმა ახლა ვალდებულება აიღეს მარტივი ტიპის სპორტული ბაზების შექმნა ყველა საველე ბრიგადასა და ფერმაში.

ორსანტიელი და რუხელი ახალგაზრდების ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობათა მშრომელებს შორის. კახათის მარქსის სახელობისა და რუხის „საქართველოს" კოლმეურნეობების, ხეცერის, ონარიის, ზედაეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობების გოგონებმა და ჭაბუკებმა მოაწყეს მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, სადაც ხშირად მართავენ სხვადასხვა შეჯიბრებას.

გ. ალშიბაია,
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

არჩევნებს მიუძღვნეს

ქობულეთში გაიმართა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირადი პირველობა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრება მიეძღვნა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს. კლასიკურ ჭიდაობაში წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაისაკუთრეს: ი. კრილნიკოვმა, თ. გოგიტიძემ, გ. ძნელაძემ, დ. კიკვაძემ, ე. თხილაიშვილმა, ს. ნოღაიდელმა, შ. ვეშაგურმა და რ. ნაკაიძემ. თავისუფალ ჭიდაობაში უძლიერესნი აღმოჩნდნენ: ტ. გაგუა, რ. მელაშვილი, ა. გორგილაძე, ვ. ბელიკოვი, ა. თხილაიშვილი, თ. აფხაზავა, ს. ნოღაიდელი, რ. ნაკაიძე.

ვ. გაროზაშვილი,
„კოლმეურნის" ქობულეთის რაისაბჭოს ინსტრუქტორი.

ორ სახეობაში

რატომ ვერ დარბიან

მეთოდური წერილი

შარშან, ოქტომბერში გამართულ მძლეოსანთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში 100 მეტრზე ვაჟთა ფინალურ გარბენში გამარჯვებულმა მხოლოდ 10,8 წამი აჩვენა.

შეიძლება თუ არა უკეთესი შედეგის მოპოვება? შეიძლებოდა, რომ იმ ოლიმპიურ წელს, რომელიც ჩვენი სპორტსმენებისთვის ორიოდე ასპარეზობით ამოიწურა, სპრინტერებს მეტ შეჯიბრებაში მიეღოთ მონაწილეობა.

საქართველოს სპრინტერთა შარშანდელი მაჩვენებლები გვაიძულებს დავფიქრდეთ შემდგომი საქმიანობისა და, განსაკუთრებით, შეჯიბრებათა კალენდარის სწორ დაგეგმვაზე.

სპრინტერის სრულწლიური წვრთნის პროცესი სხვადასხვა პერიოდში იმ სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება, რომლებიც მძლეოსნის ორგანიზმს მაღალ ნევრო-ფიზიკურ დონეზე შრომისუნარიანობის გამოვლინებისა და ძირითად დისტანციებზე (100, 200, 400 მ რბენა) კარგი მაჩვენებლებისათვის ამზადებს.

მთავარ შეჯიბრებათა კალენდარი მხოლოდ სპორტულ ფორმაში შესვლასა და ზაფხულისა და შემოდგომის პირველი თვეების განმავლობაში ამ ფორმის შენარჩუნებას ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, სწორი მოსამზადებელი მუშაობის კრიტერიუმია სპორტსმენის მზადყოფნა სწორედ ამ პერიოდისთვის.

როგორ წყდება ეს ამოცანა ჩვენში?

ნოემბერ-დეკემბერში, როცა მუშაობის ახალ ციკლს ვიწყებთ, შეიმჩნევა ნევრო-კუნთური აპარატის სისწრაფის კოორდინაციის პროცესთა ჩქარი დაქვეითების ტენდენცია. წვრთნის დროს სპორტსმენში ამტანობის გამომუშავების მიზნით ძალისმიერი ვარჯიშების დიდი დისტანციების გარბენასთან შერწყმისას მხედველობიდან გვრჩება სპრინტერთან მუშაობის ძირითადი მიმართულება — სისწრაფის პროცესთა შემდგომი განვითარება და წვრთნის ამ ეტაპზე მიღწეული დონის შენარჩუნება.

ჩვენი სპრინტერები სეზონს წლიდან წლამდე ერთნაირად დაბალი მაჩვენებლებით იწყებენ. სისწრაფის პროცესის სათანადო კოორდინაციის დროს რაც უფრო მეტია ძალისმიერ თვისებათა ნამატი, მით უფრო დიდია ძირითად დისტანციებზე პირველი სტარტისას ტრავმების მიღების შესაძლებლობანი. ტრავმის შიში კი სპორტსმენს აიძულებს მოერიდოს პირველ შეჯიბრებებს, ასპარეზობაში აუცილებელი მონაწილეობის შემთხვევაში მთელი ძალით არ იბრძვის, რაც არასასურველ შედეგს იწვევს — სპრინტერები ვეღარ ასწრებენ სათანადო მანძილთა გარბენასა და საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისთვის ჩვეულ სპორტულ ფორმაში შესვლას. ჩვენი სპრინტერებისგან განსხვავებით, მსოფლიოს წამყვანი მორბენლები ზამთრის პერიოდშიც ინარჩუნებენ სისწრაფეს ან ზაფხულის მაჩვენებლებს 1-2 მეათედი წამით აუარესებენ (ეს უკანასკნელი ფაქტორი მათ პირვანდელი დონის დროულად აღდგენის საშუალებას აძლევს).

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიშველიოთ გამოცდილება ამერიკელი, გერმანელი, პოლონელი და სხვა ქვეყნების სპრინტერებისა, რომლებსაც უკვე ზამთარში შეუძლიათ მაქსიმალური სისწრაფით გაირბინონ ძირითად დისტანციასთან მიახლოებული 40-65-მეტრიანი მონაკვეთი. ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ სისწრაფისა და ძალისმიერ ვარჯიშებს, რომელთა გავლენასა და ეფექტურობას შეჯიბრებებში ხშირი მონაწილეობით ამოწმებენ. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს ზამთრის პერიოდში მათ მიერ ჩატარებული საწვრთნელი საქმიანობის ხასიათზე.

ჩვენში ხშირად ფიქრობენ, რომ თითქოს, ვთქვათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ზამთარში ერთნი აღწევენ კარგ შედეგებს, ხოლო ზაფხულში — მეორენი და რომ, სპორტსმენს არ შეიძლება მთელი წლის განმავლობაში ერთნაირად მაღალი შედეგი ჰქონდეს. ამგვარი მტკიცება საფუძველსაა მოკლებული. მაგალითად, კენტუკის შტატში გამართულ ერთ-ერთ შეჯიბრებაში 70 იარდზე რბენაში 6,8 წამი ერთდროულად აჩვენა ორმა სპრინტერმა — ორივემ გააუმჯობესა რ. ჰეიესის მსოფლიო მიღწევა. ამასთან, ერთი მათგანი ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ფინალში მონაწილეობდა. ეს ფაქტი მრავლისმეტყველია.

გზა მსოფლიო რეკორდებისკენ — დიდ სისწრაფეთა გზაა და ვფიქრობ, დროა საფუძვლიანად გადაისინჯოს ის პოზიცია, რომელსაც ჩვენი სპრინტი ემყარება. აუცილებელია იმ პირობების შექმნა, რომლებიც სპორტსმენის ფორმაში შესვლის, ფორმის შენარჩუნებისა და მძლეოსნის მთავარ შეჯიბრებისთვის განწყობის შექმნის სწორი გზის მონახვის საშუალებას მოგვცემს.

საამისოდ მიზანშეწონილად მიმაჩნია თბილისში, ლენინის სახელობის სტადიონის მანეჟზე იანვრიდან დაწყებული 2 კვირაში ერთხელ მაინც გა-

კალათბურთი

აჭარის ჩემპიონები

აჭარის საუწყებათაშორისო პირველობაში მონაწილეობდა კალათბურთელ ქალთა 4 და ვაჟთა 8 კოლექტივი.

ქალებში წარმატებას მიაღწიეს ბათუმის ბავშვთა სპორტული სკოლის მოსწავლეებმა (მწვრთნელი გ. მენაბდე). გოგონებმა ყველა შეხვედრა დამაჯერებლად ჩაატარეს და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს. გასული წლის ჩემპიონი — „ბურევესტნიკის" კოლექტივი II ადგილით დაკმაყოფილდა. III ადგილი წილად ხვდათ „დინამოს" კალათბურთელებს.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლისა და „განთიადის" სპორტსმენ ვაჟთა ფინალური შეხვედრა. პირველი ტაიმი მოიგეს სასწავლებლის აღსაზრდელებმა — 37:26. შესვენების შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდო „განთიადმა", რომელმაც მოიგო კიდეც შეხვედრა — 68:66.

„განთიადის" კალათბურთელთა კოლექტივი (მწვრთნელი ზ. კვაჭაძე) გახდა აჭარის წლევანდელი ჩემპიონი. III საპრიზო ადგილი მოიპოვეს ნავსადგურის წარმომადგენლებმა, რომლებმაც გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხეს სპორტსკოლის პირველი გუნდი — 79:73.

ჩატარებული ჩემპიონატის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში მონაწილეობა არ მიიღეს „განთიადისა" და „კოლმეურნის" ქალთა გუნდებმა და „ლოკომოტივისა" და „შრომითი რეზერვების" ვაჟთა კოლექტივებმა.

ო. მურვანიძე,
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ჭადრაკი

ვ. ტუკმაკოვი — უძლიერესი

მოსკოვი, 17 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ჭაბუკ მოჭადრაკეთა ტურნირის ბოლოსწინა, XIV ტურში გრიგორიანმა მოუგო ზამანოვს, ბალაშოვმა — აგზამოვს, რაშკოვსკიმ — ვიტოლინშს, კუზმინმა — მუხინს. ყაიმით დამთავრდა მიშუჩკოვ — სიმოვიჩისა და ტუკმაკოვ — რაზუვაევის პარტიები.

ტურნირის დამთავრებას მხოლოდ ერთი ტური აკლია. მაგრამ 19 წლის ოდესელმა ოსტატმა ვ. ტუკმაკოვმა, როგორც ვიუწყებოდით, უკვე გაინაღდა I ადგილი. აღსანიშნავია, რომ მან 10 პარტია მოიგო და მხოლოდ 1 შეხვედრა დაამთავრა ყაიმით.

XV ტურის წინ სატურნირო ცხრილში შემდეგი მდგომარეობაა: ვ. ტუკმაკოვი — 10,5, ლ. გრიგორიანი — 8,5, ნ. რაშკოვსკი — 7,5, გ. კუზმინი — 7, ნ. მიშუჩკოვი — 6,5, ა. ბოკუჩავა, ი. რაზუვაევი და ვ. აგზამოვი — 6-6.

პრეტენდენტთა მატჩები ბლედის ტბასთან

იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციამ გადაწყვიტა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩები (ივკოვ—ლარსენი და ტალ—პორტიში) მოაწყოს აგარაკ ბლედში 27 ივნისიდან 7 აგვისტომდე.

ტრადიციული ტურნირი სარაევოში

19 მარტიდან 6 აპრილამდე სარაევოში (იუგოსლავია) გაიმართება ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც ბევრი ცნობილი დიდოსტატი ითამაშებს.

სტუმრებიდან ბრძოლაში ჩაებმებიან: დიდოსტატები პოლუგაევსკი (სსრ კავშირი), ულმანი (გდრ), ლენდიელი (უნგრეთი), ბობოცოვი და ტრინგოვი (ბულგარეთი), საერთაშორისო ოსტატები სუეტინი (იგი მხოლოდ სსრ კავშირის დიდოსტატია), ფორინტოში (უნგრეთი), გორტი (ჩეხოსლოვაკია), მალიხი (გდრ).

მასპინძლებიდან ითამაშებენ: დიდოსტატი ტრიფუნოვიჩი, საერთაშორისო ოსტატები მატულოვიჩი, კოზამარა, ბოგდანოვიჩი და ოსტატობის კანდიდატები ოსმანაგიჩი და გოიაკი.

მ. მატულოვიჩი — იუგოსლავიის ჩემპიონი

ნოვი სადში დამთავრდა იუგოსლავიის საიუბილეო ჩემპიონატი, რომელშიც 20 მოჭადრაკე მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა 28 წლის მილან მატულოვიჩმა — 13 ქულა. II—III ადგილები გაიყვეს ს. გლიგორიჩმა და ბ. პარმამ — 12-12 ქულა.

„მარტინის თასზე"

ლ ო ნ დ ო ნ ი. ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის დაშნით მოფარიკავენი შეიკრიბნენ აქ, რათა „მარტინის თასი" მოეპოვებინათ. ბრძოლაში 48 სპორტსმენი ჩაება. ნახევარფინალურ შეხვედრებში ინგლისელმა ჯეიმ დაამარცხა პოლონელი ნელიაბა — 8:4, ხოლო უნგრელმა ნადმა — თანამემამულე გაბორი — 10:9.

„მარტინის თასი" მოიპოვა პალ ნადმა, რომელმაც ფინალში მოუგო ჯეის—8:6.

დასკვნითი ტურის წინ

20 მარტს ბაქოში იწყება კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩები იმ გუნდებს შორის, რომლებიც XIII—XXIV ადგილებისთვის იბრძვიან. აი, როგორი მაჩვენებლებით ხვდებიან გუნდები დასკვნით ტურს:

გათამაშების ცხრილი

ვაჟები

	თ.	მ.	წ.	ქ.
„ურალმაში" სვ.	16	13	3	13
„სპარტაკი" როსტოვი	16	12	4	12
ს კ ა ლენინგრადი	16	11	5	11
„ბურევესტ." მოსკ.	16	11	5	11
„პოლიტექნიკი" თბ.	16	10	6	10
„ბურევესტ." ლენინგ.	16	10	6	10
„ბურევესტ." ოდესა	16	8	8	8
„ბურევესტ." ბაქო	16	6	10	6
„პლასტიკასი" ვილნ.	16	5	11	5
ს კ ა ბაქო	16	4	12	4
„ბურევესტ." ფრუნზე	16	4	12	4
ს კ ა ტაშკენტი	16	2	14	2

მსოფლიოში — მესამე

კალიფორნიის შტატის ქ. სან-ხოსეში ამერიკელმა სპრინტერმა ტ. სმიტმა 200 მეტრზე რბენაში უმოსაწვევოდ გაიმეორა მსოფლიო რეკორდი — 20,0 წამი. შეჯიბრების ყველა წესი დაცული იყო და ეს შედეგი დასამტკიცებლადაა წარდგენილი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სმიტი მესამე სპორტსმენია, რომელმაც ეს მანძილი ასე სწრაფად დაფარა. მანამდე ამგვარი შედეგის ჩვენება შეძლეს მისმა თანამემამულეებმა დ. ზიმმა (1956 წელს) და ფ. ბადმა (1962 წელს).

ახალი რეკორდები

● **ლენინგრადი,** 16 მარტი. არმიის სპორტკლუბის 50-მეტრიან აუზში დღეს წარმატებით გამოვიდა ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი ზურგზე ცურვაში ვ. მაზანოვი. ამანათცურვაში 4×100 მეტრზე მაზანოვმა თავისი მონაკვეთი გაცურა... თავისუფალი სტილით და ამ ახალ ამპლუაში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია — 55,2 წამი. ეს მაჩვენებელი 0,2 წამით უკეთესია სსრ კავშირის ძველ რეკორდზე.

● **კიევი,** 16 მარტი. სსრ კავშირის ჩემპიონატზე ციგურებით ფიგურულ სრიალში დღეს დამთავრდა ერთეულ ქალთა ასპარეზობა. ოქროს მედალი მოიპოვა ლენინგრადელმა თ. ბრატუსმა. „ვერცხლის" მფლობელი გახდა ე. სლეპოვა, ხოლო ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა ე. შჩეგლოვა (მოსკოვი). წინა დღით ბრატუსმა ოქროს მედალი მოიპოვა ა. გავრილოვთან ერთად წყვილთა სრიალში.

● **კაუნასი,** 16 მარტი. კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მესამე დღეს ცსკა-მ მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლო ინიციატივის ხელში ჩაგდება და ანგარიშით 87:70 დაამარცხა მინსკის „სპარტაკი". დარჩენილი სამი მატჩიდან საკმარისია ერთის მოგება, რომ ცსკა-მ შეინარჩუნოს სსრ კავშირის უძლიერესი კოლექტივის სახელი. მაგრამ არმიელები ამ მატჩებს ცოტა მოგვიანებით ითამაშებენ, რადგან 18 მარტს მათ მოელით მეორე ნახევარფინალური მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ვარესის (იტალია) „ინისთან".

მოსკოვის „დინამომ" მოუგო ალმა-ათის „ლოკომოტივს" (77:60), ხოლო ადგილობრივმა „ჟალგირისმა" — კიევის სკა-ს (65:59).

კარგი პირი უჩანს...

თბილისის „ნორჩი დინამოელის" ცურვის სკოლაში ნაყოფიერად მუშაობს ახალგაზრდა მწვრთნელი ი. ნათაძე. მისი ზრუნვით აქ ბევრი გოგონა ეზიარა სპორტის ამ საინტერესო სახეობას. ერთ-ერთი მათგანია I სკოლის მეორეკლასელი, 7 წლის მანანა ტყემალაძეც. გულისხმიერი აღმზრდელის დახმარებით გოგონა მალე დაეუფლა ბრასის, დელფინის, თავისუფალი სტილითა და ზურგზე ცურვის ტექნიკის ანბანს და ასპარეზობაშიც სცადა ძალები. მისი, ისე როგორც სხვა თანატოლების, პირველი შედეგები მწვრთნელს შრომის დაფასებას, ხოლო რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს — სათანადო შევსებას ჰპირდება.

* * *

სურათებზე: ზევით — მ. ტყემალაძე; ქვევით — ი. ნათაძე ატარებს მორიგ ვარჯიშს.

ფოტო სპორტის ოსტატ ბ. კამენსკისა.

სპრინტერები?

იმართოს შეჯიბრებანი 30-40-50-60 მეტრზე რბენაში და მწვრთნელებს საშუალება მივცეთ წინასწარ, გააზრებულად დაგეგმონ ამ ასპარეზობებში სპორტსმენთა მონაწილეობა.

ეს ასპარეზობანი მოგვევლინება ჩატარებული სასწავლო-საწვრთნელი პროცესის შემოწმების ყველაზე რეალურ ფორმად. ამგვარი ღონისძიება სპორტსმენს მისცემს სისწრაფისა და ძალისმიერ თვისებათა ზრდის სტიმულსა და, მაშასადამე, გადაწყდება ძირითადი ამოცანა — სპრინტერი ტექნიკურად და ფიზიკურად მომზადებული შეხვდება ძირითად დისტანციაზე საშეჯიბრებო სეზონს.

უდავოდ მცდარად უნდა ჩაითვალოს, რომ სპრინტერები ძირითად დისტანციას (100 მ) თებერვლიდან ნოემბრამდე (და ზოგჯერ ნოემბერშიც) დარბიან. ამას სპორტსმენი მხოლოდ ფსიქიკურ, და აქედან გამომდინარე, ორგანიზმის ფიზიკურ გამოფიტვამდე მიჰყავს, იჩქმალება მომზადების მნიშვნელოვანი მხარე — სისწრაფის ამტანობა, რაც სპრინტერის ენერგეტიკული რესურსების ძირითადი ბაზაა. სწორედ ამ უკანასკნელის უგულვებელყოფა იწვევს არასტაბილურ, უთანაბრო შედეგებს.

ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილია მარტსა და აპრილში 2 კვირაში ერთხელ მაინც გავმართოთ შეჯიბრებები ისეთ დისტანციებზე, რომლებიც ძირითადს აღემატება. კერძოდ, 100 მეტრზე მორბენლებისთვის — 150 და 250 მეტრზე, 200 მეტრზე მორბენლებისთვის — 250 და 300 მეტრზე, 400 მეტრზე მორბენლებისთვის — 500 და 600 მეტრზე.

სასურველია ამავე პერიოდში ჩატარდეს ამანათრბენები 4×250, 4×300, 4×500 მეტრზე ვაჟებისა და 4×150, 4×250, 4×300 მეტრზე ქალთათვის, ან კომბინირებული ამანათრბენები 150+250+300+500 და 150+250+150+250 შესაბამისად ცალკეულ დისტანციებზე. შეჯიბრებანი შეიძლება იყოს როგორც პირადი, ისე გუნდური. ამანათრბენებში უნდა მონაწილეობდნენ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული დისტანციები ხელს უწყობენ ნერვული ენერგიის შენარჩუნებას და მათ დიდი სარგებლობა მოაქვთ სისწრაფის ამტანობის გამომუშავებაში.

რაც შეეხება ძირითად დისტანციებს, შეჯიბრებანი მხოლოდ სპრინტერების ფორმაში შესვლის პერიოდიდან — მაისიდან უნდა ეწყობოდეს. ამ მომენტიდან მორბენლებს საშუალება უნდა ჰქონდეთ თვეში არა ნაკლები სამჯერ (და შეიძლება ყოველ კვირაშიც) სხვადასხვა ხასიათის შეჯიბრებაში მოსინჯონ ძალები, რადგან სწორედ აქედან იწყება სპრინტერთა საბრძოლო განწყობის პერიოდი. მორბენლისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია (და ეს პრაქტიკამ დაადასტურა) ხალხით სავსე ტრიბუნების წინ, ფეხბურთის მატჩის შუალედში, სტადიონზე გამართული სხვა მასობრივი ღონისძიების დროს გამოსვლებს, თუ წინასწარ გარბენები მატჩის დაწყებამდე ჩატარდება, ფინალი — შესვენებისას, ხოლო ამანათრბენი 4×100 მ — შესვენების შემდეგ, საშუალება მოგვეცემა შევამოწმოთ ჩვენი სპრინტერების ბრძოლისუნარიანობა დიდი დატვირთვის შემთხვევაში.

დიდ სარგებლობას მოგვცემს ივნისიდან რესპუბლიკის I და II ნაკრები გუნდების წევრთა მივლინება სსრ კავშირის სხვა ქალაქებში გამართულ შეჯიბრებებში. აქ მოხდება მათი უნარის შემოწმება, ისინი საშეჯიბრებო გამოცდილებასაც შეიძენენ და საკავშირო ჩემპიონატში მოსალოდნელ მეტოქეთა არსენალსაც გაეცნობიან.

განმუხტვის საუკეთესო საშუალებაა ოქტომბერსა და ნოემბრის დასაწყისში გამართული შეჯიბრებების სერია ამანათრბენში 4×100 ან 10×100, 4×200 ან 5×200 და 4×400 მეტრზე. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ამგვარი ასპარეზობანი ემოციურია და ფართოდ იზიდავს ახალგაზრდობას.

ამრიგად, სპორტსმენებს წლის განმავლობაში 24-26 შეჯიბრებაში 53-60-ჯერ მოუწევთ სტარტზე გამოსვლა, რაც აუცილებელია კვალიფიციური სპრინტერისთვის.

სპორტღონისძიებათა კალენდარი ხშირად ისე დგება, რომ ასპარეზობანი ან ერთადაა თავმოყრილი ან მეტისმეტადაა გაფანტული, რაც საგრძნობლად ამუხრუჭებს რესპუბლიკაში სპრინტის განვითარებას. მძლეოსნობის ფედერაციამ ამ საკითხის წესიერად გადაჭრას მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს. შეჯიბრების მონაწილეებში პასუხისმგებლობის გრძნობისა და მუშაობის სტიმულის გაზრდის მიზნით კარგი იქნებოდა ასპარეზობანი რომელიმე ღირსშესანიშნავ თარიღს მიძღვნოდა ან ჟურნალ-გაზეთების, საქალაქო და რესპუბლიკური სპორტკავშირების პრიზზე გამართულიყო.

მუშაობის ამგვარი, წინასწარ მოფიქრებული სისტემა აუცილებელია და მხოლოდ მასზე დაყრდნობით შეიძლება წარმატების იმედი ვიქონიოთ სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაზე.

ვ. ლაგუნსკი,
„დინამოს" მწვრთნელი.

მძლეოსნობა

მსოფლიო პირველობის მიმოხილვა

მოდის დიდი ფეხბურთი!

განვლილი ზამთრის პერიოდში დიდი საერთაშორისო ფეხბურთის ასპარეზზე თითქმის აბსოლუტური სიწყნარე სუფევდა. მაგრამ სულ მცირე ხანში დაბერავს შეჯიბრებათა ქარი, გაშლის მსოფლიო ჩემპიონატის შეჯიბრებათა იალქნებს და მსოფლიოს უდიდესი ქალაქების სტადიონებიდან კვლავ წამოვა გულშემატკივართა გაბმული ყიჟინა. უკვე აპრილში ევროპის საფეხბურთო მინდვრებზე ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატის 8 ოფიციალური შესარჩევი მატჩი. საფეხბურთო ქარიშხალი არ შეწყდება მაისსა და ივნისშიც და ბრძოლას ჟიულ რიმეს თასის ფინალში მოსახვედრად უაღრესად დაძაბული ხასიათი ექნება.

ფეხბურთის სპეციალისტთა და მიმომხილველთა საყოველთაო აღიარებით ამ საკვალიფიკაციო პერიოდის ცენტრალური მოვლენა იქნება იუგოსლავიისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდების მატჩი 18 აპრილს. უცხოელი ჟურნალისტები ხაზს უსვამენ, რომ იუგოსლავია საგანგებოდ ემზადება აღნიშნულ საპასუხისმგებლო შეხვედრისთვის და ცდილობს რაც შეიძლება კარგად შეახამოს გუნდში გამოცდილი ვეტერანები და ნიჭიერი ახალგაზრდობა. მაგრამ სულ ახლახანს ერთობ ოპტიმისტური განცხადება გააკეთა საფრანგეთის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. გერენმაც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფრანგული ფეხბურთის წარმატებები ამ ბოლო ხანებში ერთობ მოკრძალებული ხასიათისაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მწვრთნელს იმედი აქვს, რომ მისი გუნდი სრულ საბრძოლო ფორმაში იქნება 18 აპრილს.

ისევე, როგორც ადრე, საფრანგეთის წამყვანი პროფესიული კლუბების ხელმძღვანელები ძალზე უხალისოდ უშვებენ ნაკრებში სათამაშოდ თავიანთ უძლიერეს ფეხბურთელებს. გერენმა შეძლო კლუბების გააფთრებული წინააღმდეგობის დაძლევა და თავი მოუყარა ყველას, ვინც კი მას ესაჭიროებოდა ნაკრებისთვის. მწვრთნელის განცხადებით, ახალ გუნდს ამჟამად შეუძლია აღადგინოს ის შელახული პრესტიჟი, რომელიც საფრანგეთმა „მოიმკო“ ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში. საფრანგეთში ბევრს წერენ ნაკრების ახალ „ვარსკვლავზე“ — თავდამსხმელ ჟ. სიმონზე „ნანტიდან“, რომელიც ამ ქვეყნის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია, ყურადღებას იპყრობენ მარჯვენა გარემარბი ჟ. ლეშე „ლანიდან“, ცენტრფორვარდი ჟ. ჰატი „რესინგიდან“. მას შემდეგ, რაც ფრანგებმა გამარჯვებები მოიპოვეს ლუქსემბურგისა (2:0) და ნორვეგიის (1:0) გუნდებთან, ლაპარაკობენ იმაზეც, რომ თავიანთი საუკეთესო ფორმა დაიბრუნეს ნაკრების ვეტერანებმაც. ერთი სიტყვით, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია აღსავსეა ოპტიმიზმით.

დიდი აჟიოტაჟი სუფევს პორტუგალიაშიც. ამ ქვეყნის ნაკრები 18 აპრილს სტამბოლში უნდა შეხვდეს თურქეთის გუნდს. პორტუგალიელებმა შედარებით იოლად გადაწყვიტეს ნაკრების დაკომპლექტების საკითხი: აქ 9 მოთამაშეა „ბენფიკადან“, რომელსაც სათავეში უდგას განთქმული ცენტრფორვარდი ეუსებიო. სწორედ ამ ეუსებიოს წყალობით მიაყენა „ბენფიკამ“ ამას წინათ სენსაციური დამარცხება მადრიდის „რეალს“ (5:1) და ისიც ისეთ საპასუხისმგებლო მატჩში, როგორიცაა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალი. ამ წარმატებამ საბაბი მისცა პორტუგალიელებს თავიანთი ნაკრები ჩათვალონ თითქმის გარანტირებულ გამარჯვებულად IV ჯგუფში.

რა თქმა უნდა, სადავო არაა, რომ პორტუგალიის ნაკრები, ისეთი მაღალი კლასის ფეხბურთელებით, როგორიც არიან ეუსებიო, აუგუსტო, სიმოესი, ტორესი და სხვანი, ახლა ძალზე ძლიერ ძალას წარმოადგენს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პორტუგალიას თამაში უწევს თურქეთთან სტამბოლში, აქ გამოსვლა კი ძალზე ძნელ საქმეს წარმოადგენს. ვინ — ვინ და ფანატიკოსი თურქი გულშემატკივრები კი არავის მისცემენ საშუალებას. ასე იოლად დაჯაბნონ თავიანთი გუნდი. გარდა ამისა, თუ დავეთანხმებით ინგლისელ სპორტულ მიმომხილველებს, რომლებმაც სულ ახლახანს იხილეს სტამბოლში თურქეთის ნაკრები, ეს ძალიან ბრძოლისუნარიანი გუნდია. მათი სიტყვებით, თურქებს ძლიერი შეტევა და კარში ზუსტი დარტყმები აქვთ, ყურადღებას იპყრობენ ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც საგანგებოდ ემზადებიან პორტუგალიელებთან შეხვედრისათვის.

უახლოესი დროის საკვანძო მატჩებს შეიძლება მიეკუთვნოს აგრეთვე ორი შეხვედრა: ავსტრია — გდრ და ავსტრია — უნგრეთი. სპეციალისტთა დიდი ნაწილი ამ ჯგუფში (VI) გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს უნგრეთის ნაკრებს, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოვუშვათ, რომ ავსტრიის ნაკრები ახლა სერიოზულ ძალას წარმოადგენს, აღმავლობის გზაზეა და ამიტომ იგი არ შეიძლება წინასწარ განწირულად ჩავთვალოთ. საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ბოლო დროის წარმატებებიც.

საერთოდ, ამ ბოლო ხანებში პროგნოზებს აღარა აქვს ის ერთსულოვანი ხასიათი, რაც ადრე იყო შესამჩნევი. ახლა I ჯგუფში ბელგიელებთან ერთად ფინალის კანდიდატებად ბულგარელებიც მიაჩნიათ. ძნელი სათქმელია ვინ გაიმარჯვებს მეორე ჯგუფში — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა თუ შვეცია; მეხუთეში — შვეიცარია თუ ჩრდილოეთ ირლანდია და ა. შ. შედარებით უფრო ნათელია მდგომარეობა ამერიკის კონტინენტზე, სადაც ფინალისტებად ერთხმად ასახელებენ ურუგვაის, ჩილის, არგენტინასა და მექსიკას.

შესარჩევი მატჩების ასეთი სიუხვე გარკვეულ სიძნელეებს ქმნის მათს წინაშე, ვისაც უკვე განაღდებული აქვს ადგილები ფინალში. ლაპარაკია ბრაზილიასა და ინგლისზე. ეს ორივე გუნდი განთავისუფლებულია საკვალიფიკაციო თამაშებიდან და პირდაპირ ჩავა ლონდონში. მაგრამ სად უნდა იშოვონ მათ ღირსეული სპარინგ-პარტნიორები, როცა ეს უკანასკნელნი დაკავებული არიან შესარჩევ მატჩებში? ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის პრეზიდენტმა ჟ. აველანჟმა სპორტულ ჟურნალისტთა ამასწინანდელ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ბრაზილიელთა ნაკრების საკონტროლო თამაშების დაგეგმვა 1965 წლისთვის უკიდურესად ძნელ საქმეს წარმოადგენდა. მაგრამ, ასეა თუ ისე, მსოფლიო ჩემპიონმა მაინც დაგეგმა მოსამზადებელი მატჩების მთელი სერია. 9 ივნისს ბრაზილიელები „მარაკანაზე“ მიიღებენ ბელგიის ნაკრებს, სამი დღის შემდეგ ბრაზილიელთა სხვა შემადგენლობა ითამაშებს ურუგვაისთან. შემდეგ ჩემპიონები გაემგზავრებიან აფრიკასა და ევროპაში და ჩაატარებენ რამდენიმე მატჩს. განზრახულია 4 ივლისს მოსკოვში სსრ კავშირისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების მატჩის მოწყობა. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელთა ყველა მეტოქე მოითხოვს მატჩში პელეს გამოყვანას. ბრაზილიელები პრინციპში ამის წინააღმდეგი არ არიან, მაგრამ კომენტარს უკეთებენ აღნიშნულ პუნქტს: თუ პელეს ეყოლა უხეში მოწინააღმდეგე, ისინი თავიანთ უძლიერეს ფორვარდს თამაშიდან გაიყვანენ.

გაცილებით უფრო მცირეა ინგლისელთა საწვრთნელი მატჩების პროგრამა. მწვრთნელმა ა. რამსეიმ ჯერჯერობით დანამდვილებით დაგეგმა მხოლოდ ერთი მატჩი ესპანეთის ნაკრებთან, მაგრამ შეხვედრა ევროპის თასის მფლობელთან ნავარაუდევია დეკემბრის მეორე ნახევრისათვის, ინგლისელებს კი შეხვედრათა ჩატარება მოუწევთ გაზაფხულზეც. ისინი ახლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ბრიტანეთის კუნძულების ტრადიციულ ტურნირს, სადაც მათს გარდა მონაწილეობენ შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდებიც. მაგრამ ყველა ამ კოლექტივს თამაში უწევს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებშიც, ამიტომ ამ ტრადიციულ ტურნირს წელს, ეტყობა, სხვა ელფერი ექნება.

სწორედ მაშინ, როცა დაიწყება მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩები, ჩატარდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალი და მეტოქეთა მოძებნა სპარინგ-მატჩებისთვის განსაკუთრებით გაძნელდება. ამიტომ ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის ხელმძღვანელობამ წამოჭრა საკითხი, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნული ჩემპიონატები მიმდინარეობს შემოდგომით და გაზაფხულზე, თავიანთ პირველობათა ვადები შეამცირონ. ცნობილი გახდა, მაგალითად, რომ გფრ-ის მთავარმა მწვრთნელმა ჰ. შენმა უკვე მიაღწია მოლაპარაკებას თავის ფედერაციასთან, რომ ეროვნული ჩემპიონატი დამთავრდეს ჩვეულებრივზე 2 კვირით ადრე. გამოჩნდებიან თუ არა სხვებიც, რომლებიც ასევე შეუხამებენ ეროვნული ჩემპიონატებისა და თასების ვადებს დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებს?

ვ. სტოიანოვი,
ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლის“ მიმომხილველი.

• • •

სურათზე: მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი ბერლინში გფრ-ისა და შვეციის ნაკრებ გუნდებს შორის (1:1). გერმანელთა თავდამსხმელმა ბრუნემაიერმა წამით დაასწრო მეტოქეებს და თავით გაგზავნა ბურთი კარში. უკან მოჩანან შვედი ფეხბურთელები ვინგი, ბერგმარკი და ჰამრინი.

---

* სტატია დაწერილია სპეციალურად „ლელოსთვის“.

✦ 3 დღეში 4 ქულა

როგორც ვიუწყებოდით, შაბათს ჩატარდა ინგლისის ჩემპიონატის 33-ე ტური, ორშაბათს კი ზოგიერთი გუნდი კვლავ გამოვიდა მინდორზე.

„ლიდს იუნაიტედმა“ დაამარცხა „ბერნლი“ — 5:1. „ბერნლის“ კარში ზედიზედ ორი გოლი გაიტანა „ლიდსის“ ცენტრალურმა მცველმა ჯ. ჩარლტონმა (ცნობილი მარცხენა გარემარბის ბ. ჩარლტონის უმცროსი ძმა), რომელიც შეყვანილია ინგლისის ნაკრებში.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ შაბათს „ჩელსისთან“ გამარჯვების (4:0) შემდეგ, ორშაბათს მოუგო „ფულჰემს“ — 4:1.

„შეფილდ უენსდეიმ“ დაამარცხა „ასტონ ვილა“ — 3:1, „ვულვერჰემპტონ უონდერერსმა“ — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — 3:2.

ლიდერთა სამეულში მდგომარეობა ძალზე გამწვავდა. 33 მატჩის შემდეგ ლონდონის „ჩელსის“ 48 ქულა აქვს და იგი მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდებით უსწრებს „ლიდს იუნაიტედს“. „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუგროვდა 47 ქულა. ჩემპიონატის დამთავრებამდე დარჩა 9 ტური.

✦ ორლანდო პირველია

იტალიის ჩემპიონატის სნაიპერთა სიას ლიდერობს „ფიორენტინას“ ცენტრფორვარდი ორლანდო — 12 ბურთი. 11-11 ბურთი აქვთ გატანილი ფაკინს („კატანია“), მენიკელის („იუვენტუსი“) და ამარილდოს („მილანი“).

✦ თასების მფლობელთა თასზე

გუშინწინ ლოზანაში (შვეიცარია) ადგილობრივი „ლოზანა“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩში შეხვდა ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედს“. ინგლისელებმა გაიმარჯვეს — 2:1. მათ ახლა ნახევარფინალში გასვლის დიდი შანსები აქვთ.

✦ მესამე, გადამწყვეტ მატჩში...

ბილბაოში (ესპანეთი) გუშინწინ გაიმართა ბაზრობათა თასის გათამაშების მესამე, დამატებითი მეოთხედფინალური მატჩი ბილბაოს „ატლეტიკოსა“ და შოტლანდიის „დანფერმლაინ ატლეტიკს“ შორის. ბასკებმა 11-მეტრიანი საჯარიმოთი გახსნეს ანგარიში, მაგრამ შოტლანდიელებმა მეორე ნახევარში გაიტანეს საპასუხო გოლი.

მე-80 წუთზე ბასკმა ურიარტემ მოატყუა 3 მცველი და ახლო მანძილიდან გაიტანა გადამწყვეტი გოლი — 2:1.

„ატლეტიკო“ გავიდა ნახევარფინალში, სადაც შეხვდება უნგრეთის „ფერენცვაროშს“ („ფერენცვაროშმა“ ორჯერ დაამარცხა იტალიის „რომა“ — 2:1 და 1:0).

(საქ. ინფ.).

▲ **ფაგერნესი** (ნორვეგია). ადგილობრივ საციგუროზე დიდი წარმატებით გამოვიდა სახელგანთქმული საბჭოთა სპრინტერი ე. გრიშინი. 500 მეტრი მან გაირბინა 40,6 წამში, რაც საციგუროს ახალი რეკორდი და მიმდინარე წლის მსოფლიოში საუკეთესო დროა. გრიშინმა გაიმარჯვა აგრეთვე 1500 მეტრზე რბენაში — 2.12,2.

▲ **ვარშავა.** მთამსვლელთა პოლონური კლუბის ყრილობაზე გადაწყდა მომზადება ექსპედიციისა, რომელიც განახორციელებს ასვლას მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე — ჯომოლუნგმაზე (8848 მ).

▲ **ფილადელფია.** სპორტულ ტანვარჯიშში ჩრდილოეთ ამერიკის ღია ჩემპიონატზე ყველას აჯობა ფინელმა სპორტსმენმა ო. ლაიჰომ — 56,25 ქულა (I ადგილები: ტაიჭზე, ძელძსა და ორძელზე). ექს-ჩემპიონმა მ. საკამოტომ (აშშ) მოაგროვა 55,30 ქულა (I ადგილი რგოლებზე). ქალებში გაიმარჯვა ლ. მეხანიმ (აშშ) — 37,40.

▲ **ლოს-ანჟელოსი.** სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის მოცურავეთა ასპარეზობაში მონაწილეობდა „ტოკიოს ოქროს“ რამდენიმე მფლობელი. 100 იარდი ბატერფლაით ყველაზე სწრაფად გაცურა ოლიმპიადის ჩემპიონმა ქალმა სტაუდერმა — 59,3 წამი. მანვე გაიმარჯვა 200 იარდზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 2.01,6. ასევე წარმატებით გამოვიდა ოლიმპიური ოქროს მედალოსანი ფერგიუსონი. მოცურავე ქალი პირველი იყო 100 იარდზე ზურგზე ცურვაში—1.02,2.

ფედერაცია ებრძვის ტელევიზიას

იტალიის ტელევიზიის დირექციამ გადაწყვეტილება მიიღო მიმდინარე თვიდან მკვეთრად შეამციროს იტალიის ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაცია. ამ დასკვნამდე იგი მივიდა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა დაჟინებული თხოვნის შედეგად, ვინაიდან მაყურებელთა რიცხვი სტადიონებზე სულ უფრო და უფრო კლებულობს.

როგორც სტატისტიკოსები იუწყებიან, იმ დროიდან მოყოლებული, რაც იტალიის სატელევიზიო კომპანია გადასცემს მატჩებს, გულშემატკივართა დიდი ნაწილი შინ დარჩენას ამჯობინებს. საქმეს არ უშველა ფეხბურთის ფედერაციის შემდეგმა „ეშმაკობამაც“: ყველაზე საინტერესო მატჩებს გადასცემდნენ არა მსვლელობის დროს, არამედ დამთავრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ. ახლა კი ფეხბურთის ფედერაციამ მიაღწია გადაცემათა რიცხვის საერთოდ შემცირებას და ამრიგად, თავისებურ ჩიხში ჩააყენა გულშემატკივრები.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **18 მარტი-4 აპრილი.** „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა. დასაწყისი 16 ს. 30 წ.

კალათბურთი. სპორტის სასახლე. **20-26 მარტი.** სსრ კავშირის 1965 წლის ჩემპიონატი ქალთა შორის. „ა“ კლასი. 20 მარტს ერთმანეთს ხვდებიან: 13 ს. — **„დინამო“** (კიევი) — **„უნივერსიტეტი“** (ტარტუ), 14 ს. 30 წ. — **„ბურევესტნიკი“** (როსტოვი)—**ტტტ** (რიგა), 16 ს. — **„ურალმაში“** (სვერდლოვსკი) — **„სპარტაკი“** (მოსკოვის ოლქი), 17 ს. 30 წ. — **„ბურევესტნიკი“** (ლენინგრადი) — **„სიბირიაჩკა“** (ნოვოსიბირსკი), 19 ს. — **სკი** (თბილისი) — **„სერპ ი მოლოტი“** (მოსკოვი), 20 ს. 30 წ. — **სკა** (ლენინგ.) — **„ტექსტილმაში“** (ტაშკენტი).

ჩვენი
მისამართი
ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. **რედაქციის მისამართი:** თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, **დეპეშებისთვის** — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორი — 8.35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 8.35-09. ქვეხადგური (8-15.00.-დან 09-მდე) — პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5.16, მემანქანეთა ბიურო — 5.11, გამომშვები — 8.81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00578